

ქართული ენა

V კლასი

მოსწავლის რვეული

_____ სკოლის

მოსწავლე _____

ქართული ენა და მისი დიალექტები

① ა) წაიკითხეთ ტექსტი და გადმოეცით მისი შინაარსი.
ზამთრობით

ზამთრობით მთელი დღე ხარებ დავდევდი, საღამოს მოიდოდი ამოზუნზლული. ცეცხლთან არც კი მიმიშვიან, ხან შემა დამაჭრევინიან ხოლმე, ხან წყალი მამატანიანიან, შუალამე გადასულ ძლივ მივეგდებოდი ხოლმე თივაზე.

ბ) დაწერეთ მუქად დაბეჭდილი სიტყვების შესაბამისი სალიტერატურო ფორმები.

② ა) წაიკითხეთ იმერული დიალექტის ნიმუში და გადმოეცით მისი შინაარსი.

კობზის წყალი

თურმე თამარ ნეფე მოდის ამალით და ეი სოფლები გამოუარია. შამოსულა გულუხეთში (სოფელია აბაშის რაიონში) და იქინე მისთვის კობზით მიურთმევიენ წყალი და ამის შემდეგ იმას ქე დეეთქვა კობზის წყალი (მდინარეა აბაშის რაიონში).

ბ) დაწერეთ მუქად დაბეჭდილი სიტყვების შესაბამისი სალიტერატურო ფორმები.

③ ქართული ენის აღმოსავლური დიალექტები აღნიშნეთ ✓-ით, დასავლური დიალექტები – +-ით.

ნიმუში:

- ფშაური
- გურული
- კახური
- მოხეური
- თუშური
- აჭარული
- ქართლური

- იმერული
- ხევსურული
- რაჭული
- მესხურ-ჯავახური
- მთიულურ-გუდამაყრული
- ლეჩხუმური



1. ქართული ენა არის

- 1. მხოლოდ სახელმწიფო;
- 2. მხოლოდ სამწერლობო;
- 3. სალიტერატურო და სახელმწიფო;
- 4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2. საქართველოს რომელი კუთხე მონაწილეობდა ქართული სამწერლობო ენის შექმნაში?

- 1. სვანეთი;
- 2. აჭარა;
- 3. სამეგრელო;
- 4. საქართველოს ყველა კუთხე.

3. როდის გამოცხადდა ქართული სახელმწიფო ენად?

- 1. V საუკუნეში;
- 2. ჩვენს ნელთალრიცხვამდე III საუკუნეში;
- 3. IX საუკუნეში;
- 4. XII საუკუნეში.


4. ვინ გამოაცხადა სახელმწიფო ენად ქართული?

- 1. ვახტანგ გორგასალმა;
- 2. თამარ მეფემ;
- 3. ფარნავაზ მეფემ;
- 4. დავით აღმაშენებელმა.

სიტყვა და წინადადება

① ა) დაალაგეთ ასოები ისე, რომ სიტყვები მიიღოთ: ბიება; თოლოფი; აქვ; ირიჩხ.

② დაალაგეთ ბგერები ისეთი თანამიმდევრობით, რომ მიიღოთ მითითებული მნიშვნელობის სიტყვები და შეავსეთ კროსვორდი.



- 1. აირსი – მშვილდით სატყორცნი ჯოხი.
- 2. ილერწი – დაწერილი ტექსტი, რომელიც ვისმე ეგზავნება.
- 3. ტატი – ყვავილი.
- 4. ავყურსილი – ერთგულების, თავდადების, კეთილგანწყობის გრძნობა.
- 5. ჯეჯია – ოთახში დასადგმელი ნივთები, დგამი.
- 6. მლაია – იგივეა, რაც დროშა.

⑧ „რა მალე გავიდა ზაფხულის“ შინაარსის მიხედვით დაწერეთ წინადადებები:

ორსიტყვიანი – _____

სამსიტყვიანი – _____

ოთხსიტყვიანი – _____

ხუთსიტყვიანი – _____

თხრობითი წინადადება

① დაალაგეთ სიტყვები ისეთი თანამიმდევრობით, რომ წინადადებები მიიღოს. დასვით სასვენი ნიშანი წინადადების ბოლოს.

1. ქვემ / ზის / დანაღვლიანებული / ლედვის / მოხუცი / ზის

2. შვილიშვილს / ბებიას / გაკნაჭული / აგონებს / ყველაფერი

3. ბიჭი / დიდი / იყურებოდა / წითელი / ჩაფიქრებული / ავტობუსიდან

② განავრცეთ წინადადებები რამდენიმე სიტყვით. სიტყვების შესარჩევად გამოიყენეთ კითხვები.

1. (როგორი?) ბებია (როგორ?) შვილიშვილზე ფიქრობდა.

2. (როგორმა?) ბიჭმა (რისგან?) სასტვენი (როდის?) გააკეთა.

3. (როგორი?) ფოთლების ჩქამიც არ ისმოდა (სად?).

კითხვითი წინადადება

① შეადგინეთ წინადადებები კითხვითი სიტყვების გამოყენებით ქვემოთ მოცემული თხრობითი წინადადებების მიხედვით.

1. მეწისქვილემ უცნაური ამბავი წაიკითხა.

ნიმუში: (ვინ?) ვინ წაიკითხა უცნაური ამბავი?

(როგორი?) _____

(რა?) _____

(რა ქნა?) _____

2. ბიჭებმა ცდის ჩატარება გადაწყვიტეს.

(ვინ?) _____

(რის?) _____

(რა?) _____

(რა ქნეს?) _____

② შეადარეთ კითხვითი წინადადებები. გაარკვიეთ, რომელია ნიმუშის მსგავსი წყვილი.

ნიმუში: ვინ შეშფოთდა? – შეშფოთდა?

1. სად იმალება? – რატომ იმალება?

2. როგორ იპოვა? – ვინ იპოვა?

3. რა ნახე? – ნახე?

③ ქვემოთ მოცემული ტექსტი აქციეთ დიალოგად.

ფატი ბებია მათხიდან გამოძახა, ქათამი კაკანებს, კვერცხს დადებდა სადმე, მოძებნე და ამოიტანეო. მეზარებოდა, მაგრამ კვერცხები მოვუტანე. მერე ნემოს დასაკრეფად გამგზავნა, ჭადებზე უნდა დავაკრაო. ეს დავალებაც შევუსრულე. ვიფიქრე, დავისვენებ და წიგნს წავიკითხავ-მეთქი, რომ ბებიაჩემის ყვირილი გავიგონე. ღორები შემოსულან ეზოში და მიშველეს, მეძახდა.

ფატი ბებია _____

გიორგი _____

ფატი ბებია _____

გიორგი _____

ფატი ბებია _____

სიტყვა და მისი მნიშვნელობა

① ა) გაარკვიეთ მუქად დაბეჭდილი სიტყვების მნიშვნელობები ქვემოთ მოცემული განმარტებების მიხედვით.

1. – ქიმიური ფანქარი გექნება სადმე, – მითხრა **ხმის** თრთოლვით.
2. ჩემმა მეგობრებმა **ხმა** მისცეს ბათუმელ მომღერალს.

ხმა:

- ბგერა, რომელიც გვესმის.
- ცალკე მელოდია გუნდურ სიმღერაში (პირველი ხმა).
- საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება კენჭისყრის დროს (ხმის მიცემა არჩევნებში).

3. მიშიკოს აღელვებისგან მიწისფერი დასდებოდა. გიორგიმ **თავი** მისკენ მიატრიალა.

4. ედიშერ ყიფიანის ნაწარმოების პირველ **თავში** მოთხრობილია გიორგის ჩასვლა სოფელში.

თავი

- ადამიანის სხეულის ნაწილი.
- ზედა ნაწილი მაღალი რისამე (სვეტის თავი).
- რისამე წინა ნაწილი, დასაწყისი (სუფრის თავი).
- მეთაური, ხელმძღვანელი.
- თხზულების დასრულებული ნაწილი.
- ზოგი ბოსტნეული მცენარის ერთი ცალი (კომბოსტოს თავი).

ბ) გამოიყენეთ ხაზგასმული სიტყვები სხვა მნიშვნელობით და შეადგინეთ წინადადებები.

ბრძანებითი წინადადება

① ბრძანებითი წინადადებები გარდაქმენით ისე, რომ გამოხატოთ აკრძალვა. გამოიყენეთ არ ან ნუ.

1. აიღე ფანქარი!

2. დაუძახე შენს მეგობარს!

3. ფანქრით დანიშნე!

4. კარგად დაიმახსოვრე ეს ადგილი!

② ა) შეადგინეთ ბრძანებითი წინადადებები. გამოიყენეთ არ, ნუ.

ნიმუში: *კარებს ნუ მიეყრდნობით!*

კარებს არ მიეყრდნოთ!

ბ) დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები და იმსჯელეთ, რას გამოხატავენ ეს წინადადებები.

სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა

① შეადგინეთ წინადადებები. მუქად დაბეჭდილი სიტყვები გამოიყენეთ პირდაპირი მნიშვნელობით.

1. დოქის **ტუჩიდან** წყალი რაკრაკით გადმოდიოდა.

2. ბევრჯერ დასთენებია ასეთ **ტკბილ** ოცნებებში.

3. ურმის **თვალი** ჭრიალით დახტოდა ქვიან გზაზე.

4. მოხუცს **შავი** ფიქრები გულს უღონებდა.

5. გოგია გოდრის **ყურს** ამაგრებდა.

6. ბებია წინდის **ყელს** კემსავს.



ნიმუში: ჩუმად მტირალ გოგონას ტუჩები უკანკალებდა.

სატოვანი გამოთქმა

① მონიშნეთ ✓-ით წინადადებები, რომლებშიც დაყოფით დაბეჭდილი სიტყვები სატოვან გამოთქმას ქმნის?

- ბოსტანს და ბ ა ლ ი ლ ო ბ ე ჰქონდა შემოვლებული.
- აკი გითხარ, და ბ ა ლ ი ლ ო ბ ე ჰგონიხარ-მეთქი!
- გლენმა ვალები გაისტუმრა და ნ ე ლ შ ი ც გ ა ს ნ ო რ და.
- მსახიობმა დარბაზს მდაბლად დაუკრა თავი, ნ ე ლ შ ი გ ა ს ნ ო რ და და ამაყად გავიდა სცენიდან.

2) ა) ხატოვან გამოთქმებს მოუძებნეთ შესაბამისი მნიშვნელობები.



მნიშვნელობები:

ძლიერ განიცდის, აწუხებს (რამე);
უსაქმოდ არის, ზარმაცობს;
იტანჯება, გამწარებულია;

ძლიერია, გულადია;
წინასწარ გრძნობს;
დარდს იშორებს.

ნიმუში: გული ერჩის – ძლიერია, გულადია.

ბ) გამოიყენეთ რამდენიმე ხატოვანი გამოთქმა წინადადებებში.

3) შემოხაზეთ, რომელი ფრაზეოლოგიზმით ჩანაცვლებთ მუქად დაბეჭდილ სიტყვას.

1. მართალია, მერცხალა **ცდილობს**, მაგრამ არაფერი გამოსდის.

ა) გულს არ იტეხს.

ბ) ძალას არ იშურებს.

2. რასაკვირველია, ჩვენ **ვამჩნევდით** მერცხალას გამორჩეულობას.

ა) თვალში გვხვდებოდა.

ბ) თვალს ვუსწორებდით.

3. ყვინჩილა როგორც კი მაღლა აფრინდა, **გაუჩინარდა**.


ა) თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ბ) თავი გამოიღო.

ქახილის წინადადება


① შეადგინეთ სიხარულის, აღტაცების, დანანების გამომხატველი ქახილის წინადადებები. დასვით სათანადო სასვენი ნიშნები.

② შეადგინეთ წინადადებები და შეავსეთ სქემა. დასვით სათანადო სასვენი ნიშნები.





მარცვალ და დამარცვლის წესები

① შეადგინეთ სიტყვები რგოლებში მოცემული მარცვლებით.



ნიმუში: ქი-ლა, ქი-სა,...

② შეადგინეთ სიტყვები, რომელთა პირველი მარცვალია სა და სას.



③ ა) დამარცვლეთ სიტყვები: ბოსტანი, ჭადარი, ფუტკარი, ბოქლომი, წუხილი, ფანქარი, ქვეყანა, რუსთავი, ხორბალი.

ბ) სიტყვაზე თითო მარცვლის ჩამოშორებით მიიღეთ სხვა მნიშვნელობის სიტყვები.

ნიმუში: ბოს-ტა-ნი ტა-ნი.

სიტყვათა სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესები

① დაყავით გადასატანად: აუშენებია, იუარა, უანდერძა, იანგარიშა, ოაზისი.

② დაყავით გადასატანად: სასმისი, უთმო, სამკალი, მთიანი, მეტყევე, საყდარი, შელობვა

ნიმუში: მე-ტყევე, მეტყე-ვე

③ დაყავით გადასატანად: საზღვაო, მთარგმნელი, მებოსტნე, მინდვრები, გამკვირვებია.



I. 10 ქულა

(1) 1. **ხატოვანი გამოთქმა** – ბევრი წყალი ჩაივლის – **ნიშნავს:**

- ა) მდინარე აღიდდება; ბ) დიდი დრო გავა; გ) წვიმა იქნება.

(1) 2. **ხატოვანი გამოთქმა** – ბენვზე ჰკიდია – **ნიშნავს:**

- ა) ბედნიერია; ბ) უვარგისია; გ) ძლივს არის.

(1) 3. **ხატოვანი გამოთქმა** – გუდა-ნაბადი აიკრა – **ნიშნავს:**

- ა) დასახლდა; ბ) წავიდა; გ) ჩაიცვა.

(1) 4. **რომელი ხატოვანი გამოთქმის მნიშვნელობაა** – გულის ნადების თქმა?

- ა) გულის გადაშლა; ბ) გულის ამოჯდომა; გ) გულის აყრა.

(1) 5. **რომელი ხატოვანი გამოთქმის მნიშვნელობაა** – მოფერება?

- ა) თავზე ლაფის დასხმა; ბ) თავზე ხელის გადასმა; გ) თავის გამოდება.

(1) 6. **რომელი ხატოვანი გამოთქმის მნიშვნელობაა** – ნაძინება?

- ა) თვალის მოკვრა; ბ) თვალის მოტყუება; გ) თვალის თამაში.

(3) 7. **დააკავშირეთ საზებით ხატოვანი გამოთქმები და მათი განმარტებები.**

- | | |
|-------------------------|------------------------|
| ა) ფეხს არ ვიცვლით. | ყურადღებას არ ვაქცევთ. |
| ბ) აინუნშიც არ ვაგდებთ. | იმედიანად ვართ. |
| გ) გულს არ ვიტყბთ. | ადგილზე ვდგავართ. |

(1) 8. **ბაიყუშის პირდაპირი მნიშვნელობაა** – დიდი ბუ. რა არის მისი გადატანითი მნიშვნელობა?

- ა) უდარდელი ადამიანი; ბ) მშვიდარა ადამიანი; გ) უხასიათო ადამიანი.

II. 10 ქულა.

(1) 1. **რომელი ბგერების გამოყენებით შეიძლება შედგეს სიტყვა?**

- ა) ჩუღლა; ბ) ლჭეირ; გ) კბაერ.

(1) 2. **იპოვეთ ნიმუშის მსგავსი წყვილი.**

ნიმუში: ხალი – ხილი

- ა) ქადა – ქალა;
ბ) ღრმა – დიდი;
გ) მარტო – ერთად.

(1) 3. **რომელი სიტყვა არ დაიყოფა გადასატანად?**

- ა) ჩქამი; ბ) გრძნობს; გ) ზაფხული.

(1) 4. რომელი სიტყვაა სწორად დამარცვლილი სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად?

ა) ა-თასი; ბ) ათბო-ბს; გ) აი-ლო.

(1) 5. რომელია სწორად დამარცვლილი გადასატანად?

ა) მერ-ცხალი; ბ) მე-რცხალი; გ) მერცხ-ალი.

(1) 6. რომელია ძახილის წინადადება?

ა) სწრაფად ჩაიცვი! ბ) ვინ გაოცდა? გ) რა საოცრებაა!

(1) 7. რომელია კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება?

ა) მოგეწონა მოთხრობა? ბ) საინტერესო ამბავია?

გ) რატომ მოგეწონა მოთხრობა?

(1) 8. რომელია ერთსიტყვიანი წინადადება?

ა) შიში; ბ) ეშინია; გ) მშიშარა.

(1) 9. რას გამოხატავს ძახილის წინადადება: „რა ბედნიერებაა!“

ა) სიხარულს; ბ) გაოცებას; გ) გაბრაზებას.

(1) 10. რომელია ბრძანებითი წინადადება?

ა) შენვე გამოასწორე შეცდომა!

ბ) ეს ხომ შეცდომაა!

გ) ვაი, შეცდომა დაგუშვი!

III. 10 ქულა

(10) 1. წაიკითხეთ ტექსტი და და დასვით გამოტოვებული სასვეები ნიშნები.
(სულ გამოტოვებულია: 4 წერტილი; 2 მძიმე; 1 ძახილის ნიშანი და 3 კითხვის ნიშანი).

*** * ***

მერცხალა ღრუბლებში დაიმალა

– აღარ დაბრუნდება – იკითხა გიორგიმ

– რაღას დაბრუნდება ქათამი კი არ არის – იწყინა მიშიკომ.

– ბებიას არ ვუთხრათ

– ვუთხრათ მაგრამ არ დაგვიჯერებს.

– რომ აღარ დაბრუნდება – ნიშნისმოგებით თქვა მიშომ.

მაგრამ მერცხალა დაბრუნდა მეზობელმა მოიყვანა ჩვენს ვენახში ვნახე და ვიცანო.

ანტონიმები

① ა) დააწყვილეთ ანტონიმები:

კეთილსინდისიერი, მაღალი,
ახალი, კარგი, საიმედო,
უგემური, უწესო, ნაყოფიერი.

დაბალი, არასაიმედო, წესიერი,
უნაყოფო, არაკეთილსინდისიერი,
ცუდი, გემრიელი, ძველი.

ნიმუში: კეთილსინდისიერი – არაკეთილსინდისიერი

ბ) შეადგინეთ წინადადებები ანტონიმების გამოყენებით.

② აღადგინეთ ანდაზებში მუქად დაბეჭდილი სიტყვების ანტონიმები.

1. სიცრუე დილამდეო და _____ შვილიშვილამდეო.

2. ყბედი _____ მოლალაო.

3. გული _____, კბილი – თეთრი.

4. ღვინო – _____, წყალი – უმცროსს.

⑧ ა) დაწერეთ მოცემული სიტყვების ანტონიმები:

დიდი _____

მოკლე _____

მწირი _____

მისაღები _____


სწრაფი _____

კარგი _____

ნიმუში: ვინრო - ფართო

ბ) თქვენ მიერ დაწყვილებული ანტონიმები შეურჩიეთ წრეში მოცემულ სიტყვებს.

ნიმუში:



სინონიმები

① ა) დააჯგუფეთ სინონიმები.

ამაყი

მშვიდი

აუჩქარებელი

მედიდური

დინჯი

ქედმაღალი

მშიშარა

წყნარი

მხდალი

ლაჩარი

გოროზი

ჯაბანი

ნიმუში: *ამაყი, ქედმაღალი, გოროზი, მედიდური.*

ბ) რამდენიმე მათგანი გამოიყენეთ წინადადებაში.

② დააწყვილეთ და ნიმუშის მიხედვით გაანაწილეთ სინონიმები და ანტონიმები.


ნედლი	ნორჩი
ტლანქი	ხმელი
ცხარე	ტკბილი
უხეში	დახვეწილი
მწარე	გამოფიტული
ნატიფი	დათაფლული

სინონიმები: ნედლი – ნორჩი

ანტონიმები: ნედლი – ხმელი

არსებითი სახელი

① გაიხსენეთ და დააჯგუფეთ არსებითი სახელები სქემის მიხედვით.



② კითხვების მიხედვით აღადგინეთ არსებითი სახელები.

1. ბავშვმა (რა?) $\begin{matrix} \text{შეიყვანა} \\ \text{შეიტანა} \end{matrix}$ ოთახში.

2. ბიჭმა ბაღში $\begin{matrix} \text{(ვინ?)} \\ \text{(რა?)} \end{matrix}$ გაასეირნა.

③ დაასრულეთ წინადადებები:

- ვინ ჯგუფის ყველა არსებითი სახელი _____ აღმნიშვნელია.
- რა ჯგუფში შედის როგორც სულიერთა, ისე _____ აღმნიშვნელი არსებითი სახელები.



I. 10 ქულა

(1) 1. რას ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით ნაცარქექია?

- ა) უგუნურს; ბ) ზოზინას; გ) ზარმაცს.

(1) 2. რომელია ანტონიმური წყვილი?

- ა) დიდი – ზორბა; ბ) დარი – ავდარი; გ) ხანდაზმული – მოხუცი.

(1) 3. რომელია სინონიმური წყვილი?

- ა) მშვიდი – წყნარი; ბ) ცხელი – თბილი; გ) განიერი – მსხვილი.

(1) 4. რომელია სწორი შესიტყვება?

- ა) წვრილი გზა; ბ) ვინრო ჯოხი; გ) ვინრო ქუჩა.

(1) 5. რომელი ხატოვანი თქმის მნიშვნელობაა – შეძლება?

- ა) გულის შეწუხება; ბ) გულის ტკენა; გ) გულის აყრა.

(3) 6. დააკავშირეთ ხაზებით სინონიმური სიტყვები და ხატოვანი გამოთქმები.

- | | |
|--------------------------|-----------|
| ა) გული მოუვიდა. | გადააგდო. |
| ბ) ქარს გაატანა. | მოინდომა. |
| გ) ნემსის ყუნწში გაძვრა. | გაბრაზდა. |

(1) 7. ასოთა რომელი თანამიმდევრობა შეესაბამება ქართულ ანბანს?

- ა) ი კ ლ ო მ ნ; ბ) ს ტ ფ ქ უ ლ; გ) ძ ნ ჭ ხ ჯ ჰ.

(1) 8. რომელ რიგშია სიტყვები ანბანის მიხედვით დალაგებული?

- ა) გუბე, წყარო, მდინარე, ტბა, ზღვა, ოკეანე;
 ბ) გუბე, ზღვა, ტბა, მდინარე, წყარო, ოკეანე;
 გ) გუბე, ზღვა, მდინარე, ოკეანე, ტბა, წყარო.

II. 10 ქულა

(10) 1. წაიკითხეთ ტექსტი და და დასვით გამოტოვებული სასკვები ნიშნები. სულ გამოტოვებულია: 1 კითხვის ნიშანი, 4 წერტილი და 5 მძიმე.

* * *

ივრის ბალნარი ისევ ისე შრიალებდა ჭრელ-ჭრელი ხილი ისევ თვალს გვტაცებდა მაგრამ აკრძალული გვექონდა ხელის ხლება. მე ერთი ვიყავი იმედიანად. მე ხომ მქონდა იორზე საკუთარი ჭერამი?

ერთ კვირა დილას ჩავცვივდით იორზე. მთელი უბნის ბალლობა მყავდა დაპატიჟებული. მაგრამ იცით, რა მოხდა?!

შორიდან დავინახე ჩემს ჭერამთან იდგა ჩარჩი მელქო და გულმოდგინედ კრეფდა ჩემს ჭერამს თურმე დედასაც გაეყიდა ჭერამი: ცოდონი არიან მეზობლის ბავშვები რომ მარტო შენ გქონდეს ხილიო.

აი, რა მიზეზით იყო, რომ ჩვენი ჭერამი მხოლოდ სევდას და სიძულვილს იწვევდა ჩემში.

არსებითი სახელის ბრუნვა

① აღადგინეთ გამოტოვებული ბრუნვის ფორმები.

სახ.	ხევ-ი	_____	უნარ-ი
მოთხრ.	_____	სხივ-მა	_____
მიც.	ხევ-ს	_____	_____
ნათ.	ხევ-ის	_____	უნარ-ის
მოქმ.	_____	სხივ-ით	_____
ვით.	ხევ-ად	_____	_____
წოდ.	_____	სხივ-ო	_____

② ა) შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ სიტყვა **ადამიანი** სხვადასხვა ბრუნვის ფორმით: ადამიანმა, ადამიანს, ადამიანის, ადამიანით, ადამიანად, ადამიანო.

ბ) ამოიწერეთ წინადადებებიდან არსებითი სახელები, დეფისით გამოყავით ბრუნვის ნიშნები. თითოეულ არსებით სახელს მიუწერეთ, რომელი ჯგუფისაა.

③ ა) ჩასვით ანდაზებში გამოტოვებული სიტყვა ბავშვი საჭირო ბრუნვის ფორმით.

1. _____ დასაქმე და უკან გამოუდევო. 2. _____, რად ტირი? — გამდის და ვტირო. 3. _____ პირით სიმართლეს გაიგონებო. 4. _____თუ არ შემოგტიროს, ხელში ნუ აიყვანო. 5. _____ კვერს ნუ დაჰპირდები და თუ დაჰპირდები, კიდევ გამოუცხვეო.

ბ) დაასახელეთ, ბრუნვის რომელი ფორმები გამოიყენეთ.

④ დაასრულეთ წინადადებები:

1. არსებითი სახელი ფორმას იცვლის _____ მიხედვით.
2. ქართულში _____ ბრუნვაა.
3. ბრუნვის ნიშანი ფუძეს დაერთვის _____.
4. ბრუნვის _____ დაერთვის სახელის ფუძეს.
5. სახელის ცვლას ბრუნვათა მიხედვით _____ ჰქვია.

ხმაბაძვითი სიტყვები

① აღნიშნეთ ✓-ით ხმაბაძვითი სიტყვა

- | | | |
|-----------------------------------|------------------------------------|------------------------------------|
| <input type="checkbox"/> მუშაობს | <input type="checkbox"/> ჭიკჭიკებს | <input type="checkbox"/> მოედინება |
| <input type="checkbox"/> წერს | <input type="checkbox"/> ადნობს | <input type="checkbox"/> მოდის |
| <input type="checkbox"/> ჭრიალებს | <input type="checkbox"/> იმაგრებს | <input type="checkbox"/> მოაქვს |
| <input type="checkbox"/> ანათებს | <input type="checkbox"/> აჭედებს | <input type="checkbox"/> რაკრაკებს |

② რომელი სიტყვაა ზედმეტი თითოეულ სვეტში?

- | | | |
|-----------|-----------|----------|
| აკაკუნებს | თლის | კიკინებს |
| ადის | ყიყინებს | ღრიალებს |
| კაკანებს | წიკწიკებს | კეტავს |
| ჭახჭახებს | ზუზუნებს | წვეთავს |

თანხმომავანფუქიანი არსებითი სახელები

① აბრუნეთ მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში კუმშვადი არსებითი სახელები: ლერწამი, ნიორი, კედელი.

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

ნოდ. _____

② ა) დაწერეთ თითოეული სიტყვა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

დედალი _____

ღრუბელი _____

კედელი _____

გოდორი _____

მეწყერი _____

კისერი _____

საცერი _____

მონასტერი _____

მაჭარი _____

მოედანი _____

ბ) დააჯგუფეთ კუმშვადი სახელები იმის მიხედვით, რომელი ხმოვანი ამოვარდება ფუძიდან.

ა

ე

ო

⑧ ა) სწორი ფორმით აღადგინეთ წინადადებებში გამოტოვებული თანხმოვანფუძიანი სახელები.

1. დურგალი ამ (ფიცარი) _____ გაშალაშინებას აპირებს. 2. (დურგალი) _____ ნახელავი ყველას მოეწონა.

3. ბიჭი (მჭედელი) _____ პროფესიას დაეუფლა. 4. (წისქვილი) _____ დოლაბები ტრიალებს. 5. ჩიტბატონამ (ჭაობი) _____ შეაფარა თავი. 5. მტერი დიდძალი (ლამქარი) _____ შემოიჭრა ქვეყანაში.

④ შემოსაზეთ კუმშვადი სახელები.

ფონი	ანბანი	სენი	ძმარი	კუნელი	კვალი
ლიმონი	მერანი	ყურძენი	ბარი	უღელი	უფალი
საპონი	მერქანი	ცხენი	აბჯარი	ჭურჭელი	ალი

ნიმუში: *ფონ-ი – ფონ-ის (უკუმშველი)*
ლიმონ-ი – ლიმონ-ის (უკუმშველი)
საპონ-ი – საპონ-ის (კუმშვადი)

თანხმოვანფუძიან სახელთა მართლწერა

① აღადგინეთ წინადადებებში გამოტოვებული არსებითი სახელები. შეარჩიეთ მხოლოდ მ თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სიტყვები.

1. ერთმა _____ თავი დაიჭირა. 2. გარეულმა _____ შინაური ქათამი გააგდო. 3. _____ ირემს ბალახი გაუწოდა. 4. ნოდარმა და _____ წვეულება გამართეს.

② ალადგინეთ გამოტოვებული არსებითი სახელები. შეურიეთ მხოლოდ ს თანხმოდანზე ფუძედაბოლოებული სიტყვები.

1. მეფე ქალაქ _____ ეწვია. 2. ვინც პატარა რამეს ვერ დააფასებს, ის ვერც დიდის _____ მიხვდებაო. 3. ცხვრის ფარა მთაში სახელგანთქმულ _____ ჩავაბარეთ.

⑧ შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ არსებითი სახელები: ღმერთი და ამბავი – ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებით.

ტესტი



1. რომელ ბრუნვებში ხდება კუმშვა?

1. მოთხობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში.
2. მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში.
3. ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში.
4. მოქმედებითში, ვითარებითსა და ნოდებითში.

2. რამდენ ბრუნვაში ხდება კუმშვა -ებ სუფიქსიან მრავლობითში?

1. სამში
2. ხუთში
3. ოთხში
4. შვიდში

3. კუმშვის დროს რომელი ხმოვნები ამოვარდება ფუძიდან?

1. ა, ი, ო
2. ა, ე, ო
3. ი, უ, ე
4. ო, უ, ა

4. რომელი ხმოვანი შეიცვლება ვ თანხმოდანით კუმშვის დროს?

1. ა
2. ო
3. უ
4. ე

5. ჩამოთვლილი სახელებიდან რომელს მოუღის ორი მ მოთხრობით ბრუნვაში?

1. მამალი 2. ნამი 3. ღვარი 4. ბალი

6. ჩამოთვლილი სახელების ბრუნებისას რომლის ფუძეში გადაიქცევა ოსმოვანი ვ-დ?

1. კოკორი 2. იორი 3. გოდოლი 4. ფოთოლი

7. რომელია თავისებურად ბრუნებადი სიტყვა?

1. შვილი 2. ღმერთი 3. უფალი 4. მონასტერი

8. რომელია უკუმშველი სახელი?

1. ბორჯომი 2. კოჯორი 3. გოდორი 4. იორი

9. მიცემითი ბრუნვის რომელი ფორმაა არასწორი?

1. სახლს აშენებს. 2. თბილის ეწვია. 3. ძაფსა რთავს. 4. ყვავილებს კრეფს.

10. რომელი ფორმაა არასწორი?

1. ამბავის 2. კარვის 3. ჭიშკრის 4. კოცონის

არსებითი სახელის რიცხვი

① აბრუნეთ:

სახ. შვილ-ი შვილ-ებ-ი შვილ-ნ-ი

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

② დაწერეთ სიტყვები მრავლობითი რიცხვის ფორმით. გამოიყენეთ რიცხვის ნიშნები: -ებ, -ნ.

მამალი _____ ნიშანი _____

თვალი _____ გოდოლი _____

აგური _____ სტუმარი _____

③ მუქად დაბეჭდილი სიტყვები ჩაანაცვლეთ ერთი სიტყვით, რომელსაც მრავლობითი რიცხვის ფორმა ექნება.

1. ანამ, მარიამმა და ლუკამ ეზოში ხე დარგეს.

ნიმუში: *ბავშვებმა ეზოში ხე დარგეს.* _____

2. გვირილებითა და ყაყაჩოებით მოიფინა მინდორი.

3. იადონი და ბულბული სასიამოვნოდ გალობენ.

4. ლაზარეს და ლაშას უყვართ ფეხბურთი.

④ ამოინერეთ და დააჯგუფეთ არსებითი სახელები რიცხვის მიხედვით. გარკვეით თითოეულის ბრუნვა.

სანამ ჯეჯილი იყო და ყანები მნიფდა, კაცი და ხარი სხვა საქმეებს აკეთებდნენ. აშენებდნენ სახლებს და ციხეებს. მართალია, ხარი ბრძოლაში არ მიჰყვებოდა პატრონს, მაგრამ ხარი ზიდავდა ქვებს, რითაც შენდებოდა სიმაგრეები და უმაგრდებოდა მტერს საქართველო (გოდერძი ჩოხელი).

მრავლობითი რიცხვის ფორმათა მართლწერა

① ა) აწარმოეთ -ებ და -ნ/-თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები, მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

ნივთი, ბარათი, მდინარე, ბაგე, შევარდენი, გალავანი.

ბ) მართლწერის რომელი წესები გამოიყენეთ?

② ა) დასვით სასვენი ნიშნები.

ღამეა თოვლით გადალესილა მთა-ბარი არც ხმა არც მოძრაობა არც ცელქი მთის ნაკადულის ხრიალი არსად ისმის ნიავიც განგებ შეერებულა რომ არ დაირღვეს გარეშემო მშვიდობიანობა არ დაეშალოს ბუნებას ძილი დასვენება ტყე დაბარდნილა თოვლით ხეებს ტანი და ტოტებიც აღარ ეტყობათ (ვაჟა-ფშაველა)

ბ) ამოიწერეთ არსებითი სახელები, რომლებიც ვერ აწარმოებენ მრავლობით რიცხვს.



1. რომელ არსებით სახელს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმა?

1. ბზიფი; 2. მდინარე; 3. ქვა; 4. შენობა.

2. რომელ არსებით სახელს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმა?

1. გოგო; 2. კუთხე; 3. მზია; 4. ექიმი.

3. მრავლობითი რიცხვის წარმოებისას რომელს მიუძღის ორი ე?

1. ბარათი; 2. გალავანი; 3. ტყე; 4. ტბა.

4. -თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის წარმოებისას რომელს მიუძღის ორი თ?

1. ბრძენი; 2. უნაგირი; 3. ადათი; 4. მოედანი.

5. -ნ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის წარმოებისას რომელს მიუძღის ორი ნ?

1. კალათი; 2. დღე; 3. ტივი; 4. ბანოვანი.

ხმოვანფუძიანი კვაცადი არსებითი სახელები

① აბრუნეთ:

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	ენა	ღამე	ენები	ღამეები
მოთხრ.	_____	_____	_____	_____
მიც.	_____	_____	_____	_____
ნათ.	_____	_____	_____	_____
მოქმ.	_____	_____	_____	_____
ვით.	_____	_____	_____	_____
წოდ.	_____	_____	_____	_____

② შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ სიტყვა მთვარე ყველა ბრუნვის ფორმით.

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

③ აღადგინეთ არსებითი სახელები სათანადო ბრუნვის ფორმით და ისე წაიკითხეთ ანდაზები.

1. (სიტყვა) _____ თქმასაც თავისი ადგილი უნდაო. 2. (მამა) _____ ნაჭამმა ტყემალმა შვილს მოჭრა კბილიო. 3. ჭკუა (საქმე) _____ გამოჩნდებო. 4. ცხრა (ძიძა) _____ ხელში ბავშვი შიმშილით მოკვდაო. 5. (ზღვა) _____ ძირი არ უჩანდა და ამბობდნენ – უძიროაო.

④ ამოინერეთ არსებითი სახელები და გაარჩიეთ ნიმუშის მიხედვით.

ორთაჭალას, მთანმინდას, დიდუბეს თუ ისანს,
გაისმოდა ძახილი: „ყვავილების მინა!“
სურნელებით, ხალისით ივსებოდა ქალაქი,
როგორც ვეებერთელა ყვავილების კალათი (შოთა ნიშნიანიძე).

ნიმუში: ორთაჭალა-ს – რა ჯგუფის, კონკრეტული, საკუთარი, გეოგრაფიული არსებითი სახელი, ფუძე – ორთაჭალა, ხმოვანფუძიანი, კვეცადი, მიც. ბრ. ნიშანი -ს.

⑤ ა) დასვით სასვენი ნიშნები.

ბაღჩა

პატარა იყო შემკული ბაღჩა თვალი ყველას მასზე რჩებოდა...
ბულბული სტვენდა მზე სხივებს ჰფენდა მინა მოლითა იფარებოდა
ვარდის სურნელი ცვარსა ათრობდა არა ჭკნებოდა აქა მცენარე არ
იღლებოდა აქა ცხოველი

ნიკო ლორთქიფანიძე

ბ) აბრუნეთ ორივე რიცხვში ა და ე ხმოვნებზე ფუძედაბოლოებული თითო-თითო არსებითი სახელი.

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

სმომვანფუქიანი უკვეცელი არსებითი სახელები

① აბრუნეთ:

სახ. _____ სორო _____ კენგურუ _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

② დაწერეთ მრავლობითი რიცხვის ფორმით:

ზღვა _____ სორო _____

წყარო _____ კუ _____

ტყე _____ დღე _____

③ ამოიწერეთ ანდაზებიდან უკვეცელი არსებითი სახელები და გაარკვიეთ მათი ბრუნვა.

1. დო თუ შეიჭამა, დოს ქოთანი ხომ აქ არისო. 2. მაშინ ვაქებ ალოსა, როცა გალენ კალოსა. 3. ნუ აფურთხებ წყაროსა, კიდევ მოგწყურდებაო. 4. ზეცას წერო მიფრინავდა და ძირს შამფურს თლიდნენო. 5. ლოქოს სჯიდნენ და მორევში აგდებდნენო.

კუმშვად-კვეცადი სახელები

① აბრუნეთ:

სახ.	მოყვარე	მოყვრები	მოყვარენი
მოთხრ.	_____	_____	_____
მიც.	_____	_____	_____
ნათ.	_____	_____	_____
მოქმ.	_____	_____	_____
ვით.	_____	_____	_____
წოდ.	_____	_____	_____

② ამოკრიბეთ კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელები და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

ჭინჭარი, ტომარა, მანონი, ქვეყანა, ბეგარა, ჩუქურთმა.

③ გაარჩიეთ ხმოვანფუძიანი კვეცადი და კუმშვად-კვეცადი სახელები.

1. ფერად სურათებს უაღერსებ, წიგნი მოღალე,
წიგნი მოღალე, ოქროს ენა არ მოგელალა,
ისწავლე, ჩემო, შენი ქვეყნის მტერი, მოყვარე,
გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა (ანა კალანდაძე).

2. მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი (იროდიონ ევლოშვილი).

④ შავსეთ სქემა.

არსებითი სახელები

თანხმოვანფუძიანი			ხმოვანფუძიანი	
უკუმშველი	კუმშვადი	კვეცადი (ა, ე)	უკვეცელი (ო, უ)	კუმშვად-კვეცადი
_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____

ხმოვანფუძიან სახელთა მართლწერა

① სათანადო ბრუნვის ფორმით აღადგინეთ ფრჩხილებში მოცემული სიტყვები.

- რა ხმა ისმის ნეტავ? საოცარია...
ქრისტიანთა (ეკლესია) ზარია... _____
- ჰა, (აკაცია) ორი ხე _____
დგას მოჩუხჩუხე წყაროსთან... (ანა კალანდაძე)

② ა) დასვით სასვენი ნიშნები.

ბ) დააკვირდით წოდებითი ბრუნვის ფორმებს.

- კიდევ უფრო კიდევ უფრო იღორძინე საქართველოვ
კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო (მუხრან მაჭავარიანი)
- მზეო ამოდი ამოდი ნუ ეფარები გორასა (ხალხური)
- უი დედასთან წამიყვანე წამიყვან ძია (მუხრან მაჭავარიანი)

③ დაწერეთ მრავლობით რიცხვში.

კლდე — _____ | მცენარე — _____ | სახე — _____
 დღე — _____ | მონადირე — _____ | ღამე — _____



ნანილაკი -მეთქი

① შეადგინეთ -მეთქი ნანილაკიანი წინადადებები, გამოიყენეთ ზმნები: ვუპასუხე, აღვნიშნე, გავიმეორე, გავბრაზდი.


საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელები

① ჩანერეთ დაჯგუფებული სახელების გამაერთიანებელი სიტყვები წრეებში.

ნიმუში:




② საზოგადო სახელებს მიუწერეთ თითო-თითო საკუთარი სახელი:



③ შეავსეთ კროსვორდი საქართველოს მდინარეების სახელთა გამოყენებით.

		მ	ტ	კ	ვ	ა	რ	ი
		რ						
		ი						
		ნ						
		ა						
		ჰ						
		ა						



④ წაიკითხეთ ნაწყვეტი. სათანადო ადგილას დასვით: წერტილი, მძიმე და ბრჭყალები. იმსჯელეთ, რატომ იყენებთ ამ სასველ ნიშნებს.

აკაკიმ მიძღვნა ლექსი სულიკო და მითხრა შენებურად იმღერეო დიდი მგოსნის შეკვეთამ საგონებელში ჩამაგდო ლექსის მომხიბვლელმა სილამაზემ ჩემში უთვალავი მუსიკალური სახე აღძრა ერთ მშვენიერ დღეს გიტარის აკომპანიმენტზე სრულიად მოულოდნელად ჩამოყალიბდა სულიკოს მელოდია აკაკი დიდად ნასიამოვნები დარჩა

(ვარინკა წერეთელი)

Ⓜ შეარჩიეთ ერთ-ერთი ბგერა. შეეჯიბრეთ ერთმანეთს, ვინ უფრო სწრაფად შეავსებს სქემას ამ ბგერაზე დაწყებული საზოგადო სახელების შესაბამისი საკუთარი სახელებით.

ნიმუში:

საზოგადო:	ქალაქი	მდინარე	სახელი	გვარი	ნაწარმოები
საკუთარი:	მცხეთა	მტკვარი	მაია	მელაძე	„მაუგლი“

ნაწილაკი -ო

① შეადგინეთ -ო ნაწილაკიანი წინადადებები, გამოიყენეთ ზმნები:
უპასუხა, აღნიშნა, გაიმეორა, გაბრაზდა.

② ა) შეარჩიეთ თემა და დაწერეთ დიალოგი უფროსთან ან მეგობართან.
ბ) დაწერეთ იგივე ტექსტი -ო და -მეტქი ნაწილაკების დართვით.
